

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა

შპსი განცხადების

დიდი ასობით ასოზე 1 კაპ., ნვეულუბრთის მსო  
შთაბრუნით ასოზე ნახევარი კაპ., ნვეულუბრთის მსო  
ასოზე მეოთხედი კაპ.  
თუ ნახევარზე მეტი ასოა, რედაქცია განუთავსებს  
და შემოსულებს დასაბუთებლად გამოგზავნილ უნდა  
უბრუნდეს წერილს რედაქცია უნდა იყოს დასაბუთებლად  
აქტობა.  
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ  
ენებზე.  
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებას“ ივერის  
ბუნტთან.

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5კაპ.

**რედაქცია**  
გალაგინის პროსპექტზე. თბ. მუხრანის ხესლებს  
პ. კლუბის ქვემოთ.  
**ხელის-მოწერა**  
მიიღება თუილისში „დროებას“ ივერის რედაქცია  
ში, ქუთაისში „დროებას“ ივერის რედაქციაში. ქუთაისსა  
თან ხელს. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИФЛИСѢ,  
ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОЕБА“—ИВЕРІИ“.  
**„დროება“—ივერის— ღამე**  
წელიწადში. 6 თვეს. 30კპ.  
დროებას და ივერის ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ.  
„დროებას“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.  
ცალკე / „ივერის“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.

**ნათიცი ვეილი**  
**ვალერიან მიხეილის-ძე**  
**გარბოვსკი - ზარანეკ**  
სცხოვრებს გალანის პროსპექტზე, დობრჩანსკის სახლში, კიბე  
გალანის პროსპექტიდან.  
მისთვის მუდამ დღე მიიღებს: დღით 8 საათიდან  
10-მან და საღამოს 6-დან 8-მან. გამიჯნისა და ადმი-  
ნისტრაციის საქმეებისათვის მიიღებს საღამოობით. (5-2)

**ტელეგრაფები**  
(სახლთა-პოსტის ტელეგრაფის სააგენტოსათვის)  
კატეგორიული ზღვრებისთვის. გაზ.  
„სახლი დროებას“ იწერება, 2 ღმინ-  
ბისთვის, სხვადასხვად ექსპერტებს  
გამოთქვებს აზრი, რომ სამიგაციონებ-  
ში შემოდიან ჩაი და ზიგა; განსაკუ-  
თრებით ღვინის ვაჭრებსა მინიჭონ  
ხედი ხელის მძღვრებს. „ამავე გა-  
სეთს“ გაუგონა, რომ სამხედრო მი-  
ნისტრმა უბრძანა სამკურნალობის  
ზრთვესობებს, თუ ქალებს ნუ მიუ-  
შვებენ საქმიანად სამკურნალობაში.  
საქალებს შეეძურა გუხსება, გარდა-  
იან სახლსა განათლების საშინის-  
ტრას უფლების ქვეშ.  
„ზარანეკში“ სწერა: პეტერ-  
ბურღში შეიკრიბენ ყველა დე-  
ნეკან-გუბერნატორები. ნ ოქტომ-  
ბერს შეიკრიბება კამისა რუსეთის  
რჯინის გზის წესების გარდასახვა  
ვათ.

**მცხეთის დღესასწაულის გამო.**  
იმ აზრის დასამტკიცებლად, რომე-  
ლიც, ჩემგან დამოუკიდებელი მიზე-  
ზის წყალობით, ვერ გამოითქვა რთუ-  
ლად და ცხადად (იხ. „დროების“  
ფელტ., № 202 ამ წლისა, „ჩვენი  
სასულიერო საქმეები“) შესახებ ჩვენი  
ეკლესიების დაცემისა, სხვათა შორის,  
შეგვიძლიან მოვიყვანოთ შემდეგი  
მაგალითები.  
წელს ობილისის იოანე ნათლის  
მცემლის ეკლესიის დღეობაზედ შეი-  
ყარა მრავალი ხალხი, უმეტესი ნაწი-  
ლი ქართველთაგანი. რა ნახეს  
ქართველებმა, რომელთაც არა გაე-  
გებოდათ-რა რუსული (სლავიანური)  
ენისა, რომ წირვა იწერება არა-ქარ-  
თულად, შესწუხდნენ და ეს თავის  
მწუხარება გამოხატეს შემდეგის  
სიტყვებით: — „რა დროს მოვესწარი!  
წირვა რა არის, ქართული წირვა,  
ამის ღირსი კი აღარ ვყოფილ-  
ვართ!“

ამავე წელს სვეტის-ცხოვრობას,  
ჩვენს დედა ეკლესიაში (მცხეთას),  
რომელიც წარსულ წლებში მრავა-  
ლის მლოცველებით ივსებოდა, ჩვენ  
ვერ ვნახეთ მესამედიც იმ მლოცვე-  
ლებისა. ამას მე პირ-და-პირ იმას  
მივაწერ, რომ ჩვენს ერს თან-და-თან  
უტრუვდება გული ეკარგება ხალხის  
ლოცვისა, სულის კაემანის და მწუ-  
ხარების აღვიარებისა ეკლესიაში.  
ამისთანა უსწორ-მასწორობის და  
გლენისათვის უბატონო დროს,  
როდესაც ყოველი გლენის „მართალი“  
ჩივილი, დაღდება ქვესაც კი ბანს  
თქმეინებს, კარგია, რომ მთელია  
აწლის განმავლობაში ტანჯულში  
გლენმა გამოსტკვას წინაშე ღვთისა  
თავის მწუხარება იმ იმედით, რომ  
უფალი შეისმენს მის ვედრებას და  
აქაურ ტანჯვას, იქ ნეტარებით გა-  
დუხდის.  
ამისთანა სავედრებელი ადგილი  
ყველა გლენს—ქრისტიანისთვის არის  
ეკლესია. ჩვენი ხალხი უფრო ეტა-  
ნება დიდ ტაძრებს, სობოროებს და  
ჰგონა, რომ, რაც ტაძარი ღაღა,  
ძველია და დიდი კაცების, წმინდანე-  
ბის ადგილ-სამყოფელი, ის უფრო  
ძლიერია და ვედრების გამგონი.  
მართი ამისთანა ტაძართაგანი არის  
ქართველთათვის მცხეთის სობორო  
უძველესი, უდიდესი საქართველოს  
ეკლესიათა შორის და დედა მათი.  
ის ეკლესია, რომელმაც მკვიდრი  
ფესვები გაიღვა მთელს საქართვე-  
ლოში თავის 1562 წლის სიკაცხლის

განმავლობაში და ღირსეულად დაი-  
ცა ქრისტიანობა და საქართველო  
განძინებულ მტერთა შემუსვრის-  
გან, ეკლესია, რომელიც ერთ დროს  
იყო საქათალიკოსო, რომლების (უმე-  
ტესი ნაწილის) ადამიანური და სი-  
ცოცხლით სასე მჭევრ-მეტყველობა  
აღვიძებდა, აცოლხლებდა მტრისგან  
დაზარულ გულს მლოცველისას,  
უნათებდა მას ბნელ და ხიფათიან  
გზას მომავლისას, ის ეკლესია-მეტე  
ცხლა უკუ-აქცევს მლოცველს და  
ლოცვის ხალხის უკარგავს მას.  
პირველ ღვინობისთვის, როცა  
ეკლესიაში იყო ერთი ამბავი, ესე  
იგი გალობა სხვა-და-სხვა გვარ ნო-  
ტებზე, როდესაც სლავიანური წირ-  
ვა დიდის ამბით იწირებოდა საქართ-  
ველოს არქიელისაგან მრავალის სა-  
მღვდელოთა თან-დასწრებით, ამ  
დროს, ვამბობთ, ქართველნი, მლოც-  
ველნი, ხატებისთვის სანთლების და-  
ნების შემდეგ, გავიდნენ ეკლესიი-  
დან და სობოროს ეზოში დროს გა-  
ტარება დაიწყეს და ზოგი კი მინი-  
საკენ გაემგზავრა.  
როდის ყოფილა ასეთი უნო და  
უგემური მცხეთობა? როდის ყოფილა,  
რომ ამისთანა დიდებულ დღეს ქარ-  
თველს არ გაეგონოს ერთი თბილი,  
ძული ქადაგება? რა იმედებით მო-  
ვიდნენ ქართველები აქ 200, 300  
ვერსის სიმორიდგან და რა ნუ-  
გეშით გაისტუმრეს იგინი მეორე სვე-  
ტის—ცხოველობამდის ჩვენმა ქრის-  
ტეს მოციქულებმა?

**„დროების“ ფელტონი, 6 ოქტომბ.**  
**შპანასკნელი ნატვრა.**  
სანამ მესხა წვერ-ულვაში,  
ბულოც მქონდა საგულესა,  
ბედმა ხორცი ეკლით მხევილითა,  
სულს ნაღველი გაუღესა!  
—  
დღეს, როდესაც გული გატყდა  
და თმა იმკო ჭალარითა,  
ნულა მოვა ბედი ტყუილად  
სიცილით და ნალარითა!!...  
—  
მის გულს ვილაგვამთელებს  
იან-ვარდის კონებითა,  
მინც სრულიად ურწმუნოა  
გრძნობითა და გონებითა!  
—  
ის დანაშთენ სიკაცხლემი,  
არ ნატრობს მეტს აღარასა:  
რომ სამშობლოს მტრის სისხლით-  
იღებავდეს ჭალარასა!..  
1881 აკაკი.

**დიდ ზალაში.**  
(ნაწიგები პროვინციალური ცხოვრების სურათებიდან)  
მეჯლიშია. დიდი კაცის ზალა გა-  
ჩაღებულა; ქუჩილამ ფანჯრებს ხალ-  
ხი მისდგომია; შესტრიალებს ფანჯრებს;  
ზალაში ჩრდილები ირევიან; ხალხი  
ამათ აყოლებს თვალს.  
ისმის მუხიკის გრალი—ეს ვალსს  
პროწილობენ. შაიტონი ფაიტონზე,  
კარეტა კარეტაზე მოადგა ზალის დე-  
რეფანს. მალე, ფარჩებში ჩამსდარ-  
ნი, მარდად ფრინდებიან კარეტებიდან  
და დაბუზარავებულნი მითამაშებენ  
კიბეზე, მითამაშებენ გულის ცმუკეთ,  
რომ მალე ჩაერივნონ „პროწილო-  
ბაში“.  
აგერ გაისმა ჩვენი ტკბილი დუდუ-  
კის ხმა. მუხილამ მაყურებელ ხალხში  
ხმაურობა და არე-დარევა ჩაეარდა.  
დუდუკმა ესენიც გამოაფხიზლა; ყვე-  
ლა ყურებად გადიქვა: ზოგი ქვაზე  
დგება, ზოგი თითის წვერებზე, რომ  
დაინახონ ლეკურის თამაში; ზაქნე-  
ბი კი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ

ჭერზე ჩრდილების ციმციმის დანა-  
ვით.  
ამსებით ამსო დიდი კაცის დიდი  
ზალა მშენიერის სქესით, არც ლო-  
ველასები აკლდნენ; მოკლილი ხალ-  
ხია, ვინ არ წავა; მერმე ისიც დიდი  
კაცის მეჯლიში, სადაც მთელი ქა-  
ლაქის ლამაზი, პაწაწა ფეფებიან-თა-  
თებიანი იქნებიან თავ-მოყრილნი,  
სადაც ქალების მღვეარი არა-ერხელ  
აითრთოლებს და აიჭრქოლებს ფურ-  
ცლივით გულს, რომელშიაც ნეტა-  
რების ნაპერწკალი ისარივით გაუსლი-  
კენებთ ხოლმე; სადაც დიდ-კაცს პა-  
ტარა კაცუნები ხელს ჩამოართმევენ  
და იმის დაბუა ქალს გამოყოლაპარა-  
კება.  
მალე ბლომად არიან; ჩამწკრი-  
ვებულან რიგზე; ზოგ კავალერს სამი-  
ოთხი შემოხვევია გარს; გაჯიბრებუ-  
ლები ელ-პარაკებიან: რუსულად,  
ფრანციულად, ხან, ვინც კოჭლად  
არის რუსულ-ფრანციულზე, საცო-  
დავ ქართულსაც ჩაურევენ ხოლმე.  
რომელი რომელს დაასწორობს სიტყვას,

რომელი უფრო მანგილად ეტყვის,  
რომელი უფრო მოაწონებს თავს,  
აღარ იციან. ზოგი იგრინება, ზოგი  
კისერ გადადებით ხარხარებს, რასა-  
კვირველია, განგებ; ზოგი—ვითომ  
და რა!—სერიოზოზბს; „პარღონ“ და  
„მერსი“ ხომ წელში გადასწყვიტეს და  
ცხვირები დაიხეთქეს. ძავალერიც თავ-  
გამოდებულა, ყველას პასუხს აძლევს,  
ყველას უცინის, ყველას ლაპარაკში  
თავს ევლებს; არც ერთი კი არ უყვარს,  
ყველას ატყუებს. ბაცვეთილია, იცის  
ქალის გული, იცის, იმიტომ ევლე-  
ბიან ფარვანასავით, რომ თავი გაისა-  
ლონ, გათხოვდნენ და შემდეგ სხვა  
ქმარი გაიჩინონ.  
ზალის აღმოსავლეთ კუთხეში ზის  
თეთრებში ჩაცმული ქალი; ისე გამო-  
წუთებული, ისე გამოკრულია კაბა-  
კარტში, რომ დრეკის სავათობა  
აღარ აქვს; ზის გაჭიმული; მარჯვენა  
იდაყვი აქვს დაბჯენილი სკამის მო-  
ჯირზე, მარცხენაში უპურია მარაო  
და კალთაში ნაზად იფართხუნებს.  
დაფიქრებულია. ის ზალაში თით-



ქრისტიანობა (ეკკლესია) დამყარებულია ქრისტეს სწავლაზე და მთელი ეს სწავლა ქრისტესი გამოხატების სახარებაში. რა არის ის ქრისტიანობა თუ იგი ხალხს არ ესმის და არ ესმის იმიტომ, რომ იგი სრულიად ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწარმოვებს?

ფესტონი.

ახალი ამბები.

დღევანდელს გაზეთში იბეჭდება განცხადება, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ თფ. სასულიერო სემინარიის უფროსი კლასის მაგისტრები საკვირაო პირველ-დაწყებითი სკოლას ჰხსნიან ამ სემინარიის ერთს ოთახში.

ეს პირველი საკვირაო ქართული სკოლაა ჩვენს ქალაქში და იმედია, რომ დაწყებნი კარგად წაიყვანენ ამ საქმეს და საზოგადოებაც თანაუგრძნობას აღმოუჩინებს.

\* \*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბ. ბ. ჩარკვიანი აპირებს ჩვენი პატივცემულ მწერლის თ. რაფ. მრისთვის თხზულებათა გამოცემას. სულ ოთხ წიგნად გამოვა ეს თხზულებანი: პირველ წიგნად ლექსები, მეორე—სცენები, მესამე—დრამატული თხზულებანი და მეოთხე—პროზული.

შრიგო არ იქნება, რომ ყველა ჩვენი ახლანდელი მწერლები იზრუნავდნენ, შეაგროვონ, შესწორონ და გამოსცენ თავიანთი თხზულებანი თავის სიცოცხლეშივე.

\* \*

შევიტყუეთ, რომ წიგნის ვაჭარი ბ. ბრიჭუროვი აპირებს საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონის გამოცემას. მთელი ეს ლექსიკონი ათ რვეულად გამოვა, თითო რვეული ხუთ შაურად ეღირება; მსურველს შეუძლიან

ქოს არავის ხედავს; იმისთვის აქ ბნელა; იმის თვალში არაფერს მნიშვნელობა არა აქვს; არაფერს არად ეპიტანება. სიყვარულისაგან ხომ არ არის დაჩაგრული? ბული ხომ არაფერს ატყინა? ან იქნება კავალერებმა ყური არ ათხოვეს? აბა ერთი ახლო მივიდეთ ამ ანგელოსთან, ახედოთ იმის გულს დარდების ფარდა და ჩაეხედო.

ნჰ! ლპერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!! ჩემი ნაცნობი ლიზიჩკა არ გამოდგა! ლიზიჩკა საშინელი წერწეტი ტანისა; იმისი წელი სწორედ მუტაში გაძვრება; რომ დადის, სული მიგდით, გული გიღონდებათ: აი აგერ, აი აგერ წელში სატატურივით გადმეტყრევაო. ამის ტანი ერთ ქალათ ღირს, მაგრამ რაგინდა ჰქნა ამ ოხერ სოფელში!? თუ სულ ლამაზი არა ხარ თავიდან ფეხებამდინ, ზედ არაფერს შემოგხედავს. ლეთის წინაშე, არმიყობით კი გაგეარშიყვებიან და, თუ მშვილობაა, რა ვიცით-კაცნი ვართ, ისე როგორმე მოხდა, ბადეშიაც გაგაბმენ, მაგრამ იმ ოხერ ბედნიერებას რო იტყვიან—ბედნიერებას კი ვერ ეღირსება.

ლიზიჩკა ხურბაძის ქალი სწორედ

ამ თავითვე მოაწეროს ხელი მთელს გამოცემაზე, და ამ შემთხვევაში ხელის-მომწერმა რვა აბაზი უნდა შეიტანოს გამოცემელთან.

საბა ორბელიანის ლექსიკონი ისეთი ძვირფასი და სასარგებლო რამ არის ჩვენის ლიტერატურისათვის, რომ ამის გამოცემა ფრიად სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია. შექვევლია ამასთანავე, რომ გამოცემა ამ საქმეში არც წააგებს, რადგან ჩვენს საზოგადოებაში საბა ორბელიანის ლექსიკონის შექმნის მსურველი ბევრი აღმოჩნდება...

\* \*

სამტრედიდამ გვწერენ, რომ ადგილობრივი ვაჭრები ძალიან ემდურებიან აქაურს პრისტავს, რადგან ბატონი პრისტავი ხშირად ავიწროებს ვაჭრებსაო, თუ ამათ იმას არ ასიამოვნესო და რომელიმე თხოვნა არ აუსრულებსო. ამავე პრისტავზე სამტრედიე იწვრიბიან აგრეთვე იმაზედაც, რომ გზების გაკეთებას ყურს არ უგდებსო.

\* \*

სურამილამ გვწერენ: „თქვენს გაზეთ „დროშაში“ მე წაეკითხე სურამილამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც სხვათა შორის იყო აღნიშნული სხვადასხვა უკანონო და უსამართლო მოქმედება სურამის მომრიგებელ მოსამართლის მთარგმნელის ბ. შატბეროვისა. ის კორრესპონდენცია სწორედ რომ ღირსი არის ყურადღებისა, ვინც მხრითაც რიგია, ვისაც ეკუთვნის მასზედ ყურადღების მიქცევა; მაგრამ, სამწუხაროთ, მასზედ ყურადღება არ მიუქცევია ვისიღ რიგი იყო: და ეს პირი ჩვეულებრივ კვალზედ დიდის: აწუხებს ხალხს, უსრულებს თხოვნას იმ პირთ, რომლებიც ანაც გამოვლის რასმე მაგიერს და პანჩურის კვრით ისტუმრებს მათ, ვისაც მაგიერი პატი-

ამ ნაირი იყო. საბრალო ეხლა ოცდაათის წლისაა; თმა წაბლის ფერი; სახე ცხვირსა და ღოყებს შუა მოღმენჭილი, კანი მოშვებული; ღოყები გულა-ლელღვივით დაშვებული, რომლებიც სიარულის დროს თანთახებენ; ქვედა ტუჩი ერთობ დაშვებული—უკაცრავად კი ნუ ვიქნები „ბარიზა“ ქალებთან—გამაძლარი ცხენივით; და რომ ტუჩს უმგზავსოება დაუკარგოს, არ მიუქცევინოს თავიანთ-მცემლებს ყურადღება, თუ კი გამოჩნდებიან, ის იმას წითელ წამლით ისე იღებავს, რომ მისის ვარდით კაკაჩი ვაუდის; ცხვირი ჯუჟა აქვს და ისე დაღრენილი, რომ ნესტოებში ჩიტი თამამად შეფრინდება; სახეზე აქა-იქაყრია ფერის-მჭამელები; შუბლი ვიწრო, სამათ შეხმუტენილი; თვალები ღრმად წასული ფოსოებში, რომლებსაც უნდა კაცმა სთქვას, ჰფარავენ ისარივით გაწონილი წამწები; კბილები უსწორ-მასწორი.

მზითვიც ძალიან კარგი აქვს: ოთხასითუმანი ქისაში გამოკრული, ახლა ზითათი, ფარჩულობა, მაგრამ რაკი ერთხელ დაუძმვირდა ბედი,

ვის-ცემა ირ შეუძლიანთ, და სხვა-სულ ეს სრულდება თვით მოსამართლის თვალწინ, მაგრამ მოსამართლები შატბეროვის მოქმედება ყურს არ უგდებს. სხვათა ჭირიო ღობეს ჩხირიო, ნათქვამია; სწორეთ ამითანა პირებთათვის აქვს მნიშვნელობა ამ ანდაზას.

„ამ ზამთრობით აქ სდგას ერთი ბატალიონი მლადიკავკაზის პოლკისა. მართობ შევიწროებულნი არიან აქაური მოხარჯე ხალხნი: სალდათების სახლებს ქირაზედ, მათ შემაზედ და სანთელზედ ეხარჯებათ ამ ზამთრობით უმეტეს ორასის თუმნისა. ეს მეორე ზამთარია, რაც ესენი აქ სდგანან. ზაფხულობით კი გვმორიდებიან ხოლმე. სხვა ხარჯებთან ეს ხარჯიც დაემატა ჩვენს უიმისოთაც ტყავ-გამძვრალს, ხალხს რაქნას საცოდავმა რითი გასცეს ყველას პასუხი: სწორეთ სასჯელი არის აქაურს გლეხების თავზედ მაშინ, როდესაც სხვა სოფლები თავისუფლები არიან ამ გვარი შევიწროებდგანა.“

\* \*

დღეს, საღამოს შვიდ საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში, იქნება გუგუხის-ტყაოსნის რედაქციის პირველი სხდომა.

„დროშის“ კორრესპონდენციები

საშუშრი, 4 აქტობემუს. რომელ გაზეთსა და ჟურნალს კაცი ხელში აიღებს, პირველად თვალში ეკალივით ეცემა ის, რომ ყოველი მხრიდან შოთი-თფილისის რკინის გზისა სამტრედიეს იწვრიბიან. მითი სტანციილამ იწვრიბიან, კაცი მოჰკლაო, მეორედამ მატარებელი დანიშნულს ვადაზედ არ მოვიდაო, მესამედამ—თავის დროზედ საქონელი ვერ მიგვიციაო გასაგზავნათაო და ვერც ღირსი

დაუძმვირდა: ჯერ ის წუნობდა ყველას, მერე ის დაწუნეს ყველამ. რამდენმა გაცვეთილმა აფაჯარმა სდია და დაითათბირა, რამდენმა მასცა შერთვის პირობა; რამდენმა სდია, სდია და ბოლოს საბრალო ლიზიჩკა მიატოვეს.

როცა ლიზიჩკა ზემო-აღწერილ მდგომარეობაში იყო და ხალაში დამაკავალრებს გაქონდ-გამოჰქონდათ ერთმანერთი, ქასქასებდნენ დაღალულობით, ამ დროს შუბლის წმენდით და ქასქასით მოადგა ლიზიჩკას სკამს მალა-მ.ღალი, წამოსადეგი, უღვიშებ გამოწეტიებული ვაჟკაცი სამხედრო ტანისამოსით. ამ ვაჟკაცს მოციმციმე, მუღამ მოარშიყე თვალებს უშვებდა ოქროს სათვალეები; ქვედა ტუჩს ქვეშ ჰქონდა შერჩენილი წვერი, რომელსაც ბაას-ს დროს ერთობ უღვირად სტანჯავდა; სათვალეებს წამის-წამ ჩამოიგლეჯდა, თითებზე შეიპროწილებდა; წამის-წამ ისევე წამოიკვამდა და მყურებლებს თავაღებული, ამყურად, დაუწყებდა ლაპარაკს, რომლის დროსაც ზედა ტუჩს მუღამ იფხიკვდა, მალლა იწვედა ბრა-

გამხდარვართ დანიშნულს ვადაზედ მიღებისა გამოგზავნისის საქონლები-საო; ბევრი სჩივის მგზავნით მიყდილი და ბილეთი არ მომცესო, ვითომ დამეგვიანოსო, ზოგს ხურდას არ უბრუნებენ და სხვ. მითი სიტყვით რომელ სტანციიზედ გაიაროს კაცმა, ყოველს ადგილს ნახავს მომჩივარ ხალხს ამ რკინის გზის მოსამსახურებზედა.

რაც გინდა კაცმა სიმართლით დახატოს რომელიმე ამ გზის მოსამსახურის ბოროტ-მოქმედება და უწესოთ ქცევა, თუ გინდა რომ ამ-თი საჩივრის დავთრები საჩივრით ამოსოს და დასამტკიცებელი საბუთებიც მოიყვანოს, ყოველივე რჩება უტურადღებოთ, და საჩივრები იმისთანა ყუთებში ჩაიდება ხოლმე, რომ მიგნება და ამოღებაც გაუჭირდებათ... და თუ გინდა რომ რომელიმე საჩივარს ყურადღება მიაქციონ, ამათი დიდი სასჯელი ის არის, რომ ერთი სტანციილამ მეორეზედ გადაიყვანენ!

ამ ნაირი სჯა და ქცევა ამ მოსამსახურე პირებზედ იმიტომ ხდება, რომ ადგილად ვერ შეუძლიანთ სამსახურილამ გამოგდება რომელიმე მოსამსახურის ამ გზის უფროსებსა, რადგან ძალიან ცოტანი იპოვებიან მოსამსახურე პირებში, რომ ვისიმე თხოვნით და ვედრებით არ ეჭიროთ ადგილი და იმ მთხვენელს პირებსაც მეგობრული კავშირი არა ჰქონდეთ რკინის გზის გამგებლებთანა. ასე რომ თავილამ მოკიდებული, ვიდრე მწონავის თანამდებობამდინ არიან ერთმანეთში გადაბმული.

ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად რამდენსამე მაგალითს მოგიყვანთ:

შარგლის სტანციის ბილეთის გამყიდველთან ამ ოთხის დღის წინათ ერთი მგზავრთავანი ბ. ხითაროვი მივიდა ბილეთის სათხოვნელათ. ჯერ

ზიანი ძალივით, რომ დაენახებინა შუშა-შუშა კბილები, რომლებიც ისე დაწმენდილი ჰქონდა, რომ ბროლს მიაგვანდნენ. ეს კავალერი მოადგა რა სკამს, ჩაეღაპარაკა.

—აა, ლიზიჩკა, როგორ გიკითხოთ?

—უჰ! შენა ხარ, შენა!! მიატანა ლიზიჩკამ სიტყვა და მკლავები კალთაში გადმოიყარა; სიხარულმა ისე დასთუთქა, თითქო დაღალუღლიაო, თითქო აგათმყოფი ამღვარა და სკამს მისვენებიაო.

—რა იყო? მემდურები, თუ გინახიან? ჰა? რას ნიშნავს ეს: „უჰ, შენა ხარ, შენა!“ უთხრა კავალერმა და მიიცოცა ლიზიჩკასთან სკამი; არ გეგონა, რომ აქ ვიქნებოდი?

—რა მომავანდება, მიტია, თუ მოხვიდოდი და უწინ მე არა მნახავდი! მაგას არ მოველოდი. მახსოვს შენი პირობა? მახსოვს ის ნეტარი დღეები? მახსოვს ის მთვარიანი და მთვარიანი კლავი-კლავს გაყერილინი? მპირდებოდი: მალ-მალ წერილს მოგწერო. მაგრამ როგორც



მეორე ზარა არ იყო, რომ ბილეთის მიუტყემლობაზედ უარი უთხრა. ბ. ხითაროვმა მოწმეები დასწრო, რომ ბილეთი არ მიჰყიდა; მაშინ უთხრა ბ. კასირმა, ახლა კი მოგვიდიო. ხითაროვმა მანეთიანი ქალაქი მისცა ზომამდინ სთხოვა ბილეთი. ქასირმა უკან გადმოუდგო მანეთი. ამაზედ მოუვიდათ უსიამოვნო ლაპარაკი და ამ დროს გამოვიდა თ. ციციანოვი, რომელიც ამავე სტანციაში ემსახურება, და რევოლვერით იწია ხითაროვზედა... ხითაროვს მიეჩქარებოდა, უბილეთოთ ზომამდინ წამოვიდა და ერთი ორად გარდინდა ფასი...

ამაზედ უკეთესი ქცევა გამოიჩინა სურამის სტანციის უფროსის თანამემწემ ბ. მსტროვსკიმა: სამს ოკტომბერს სალამოს მატარებლით № 1-ით ემხადებოდნენ სურამიდან მგზავრები წასასვლელათა სხვა-და-სხვა ადგილებში; ოცხი მგზავრი ერთად მივიდა და სთხოვეს ბილეთი. ის დრო იყო, რომ ხაშურადამ გამოსული მატარებელი № 42 ჯერ არ იყო მოსული სურამში და მატარებელი უცდიდა იმის მოსვლას. ბ. მსტროვსკიმ ბილეთის მიცემაზედ უარი გამოუცხადა, და მიუტყემლობის მიზეზი გამოუცხადა ის, რომ კანონით აკრძალული მაქვს ბილეთის გაყიდვა, როდესაც მატარებელი სურამში სდგასო! მასაკვირვალნი და გასაოცარი ის იყო ამ მსტროვსკისაგან, რომ ამავე დროს და ამავე მიზეზს როდესაც ეს უარი უთხრა მთხოვნელთ, ერთს ვილაც აფიცერს ბილეთი მიჰყიდა, წინად მოსული მთხოვნელები უბილეთოთ დასტოვა და ბოლოს მოსული აველატებიანი ბილეთით გაისტუმრა! მგზავრების კითხვაზედ — თუ წინათ მოსულს რათა გეტოვებო, ეს პასუხი აღირსა: — „ჩემი სურვილია და ასე

თვალი შორს, ისეც გული შორსაო, ნათქვამია. იქ შენ, მითია, სხვებს იშოვნიდი და მე... მე რაღად მოგავანდებოდი... წარმოსთქვა ლიზიჩკამ ყვედრებით.

— ხომ იცი, სულიკო, რომ მე წერაში ზარმაცი ვარ; ჯერ ჩემ სამსახურში ქალაქებისთვის ხელი ვერ მომაწერია და წერილი სად გავაქრელო. ღარწმუნდი, რომ ჩემს გულში, სხვათა შორის, თქვენც გიკავიათ ალაკი. ჩემი გული ვერას დროს ვერ დაივიწყებს იმ ნეტარებას, რომელიც თქვენ მიერ მას მიუღია და შერყეულა ძირამდინ სიამოვნებით.

— ჰმ! სხვათა შორის, სხვათა შორის! რამდენჯერმე ჩამივორა გულში ლიზიჩკამ ეს სიტყვები. ამას ეტყობა სხვა უყვარს, სხვას დაუბამს ამის გული. მე კი ისე უყვარვარ, რაღა, ჩვენში რომ იტყვიან — საყველ-პუროდ; ეე, უბედურ ეტლზე ვარ დაბადებული, უბედურზე, ფიქრობდა ლიზიჩკა.

— რას ჩაფიქრდით? თქვენი თვალები კვლავ სიამოვნებით იცქირებოდნენ, მუდამ ეშხის ნაპერწკალს ისწოდნენ და ეხლა კი ამდღრეული გაქვთ, თითქო ბოროტი საქმის ჩა-

ვიქცევით? ამ ნაირ უწესოთ ქცევაზედ მაყურებლათ ადგა რკინის გზის კანტროლიორი ბარინსკი და ხმა არ ამოიღო. რასაკვირველია, ბარინსკისთვის ამნაირი მოქმედება სასიხარულოა, რადგანაც ის წარადგენს უბილეთო მგზავრებს და თავის-თავს თავის უმფროსებთან გამოიჩინეს ერთგულ მოსამსახურეთა.

ამისთანა შემთხვევები ძალიან მალე მალე ხდება ხოლმე, როდესაც ბ. ბარინსკი, პოეზდებს მოსდევს. ამას გარდა ამ დროს ისე მოუხვენრად ხდება ხოლმე მგზავრი, რომ ხუთ მიწუტს ვერ შეუძლიან თავი წამოსდოს, რადგან ყოველ სტანციადამ სტანციამდე ბილეთის ნახვას შეუდგება; ასე ხშირად ბილეთის ჩვენებისაგან ხანდი-ხან მგზავრი ბილეთსაც დაჰკარგავს და გაუხდება ხელ-მეორედ საყიდელი...

ხემოდ მოხსენებული მგზავრები იძულებული შეიქნენ, რომ სურამიდან უბილეთოდ წამოსულიყვნენ. მს მგზავრები ხაშურის სტანციაზე ბატ. ბარინსკიმ წარადგინა ერთი-ორად გადინადეს!

ერთი მგზავრთაგანი.

ფოთი, 27 სექტემბერს. ბუშინ სალამოს შედ საათზე, აქაურ საქალებო სასწავლებლის ზალაში იყო შეკრებილება კომიტეტის წევრებისა. სხვათა შორის, სჯა იყო ხარჯების შემსწორებაზედ.

აღმოჩნდა, რომ დღემდის სასწავლებლის საკუთრება იხარჯებოდა არა მისს ნამდვილს დანიშნულებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე — ქალმა მილადავსკისამ ხარჯების შემსწორება ისურვა იმისთანა საგნებისა, რომლებსაც სრულიად არ მოხერხდებოდა და უსაბუთო იყო, და სადაც შემსცი-

დენა სურსთო, უთხრა დაცინვით კვალერმა.

— მართი და მეორეც თქვენი ბრალია. თქვენ არ იყავით, რომ დამპირდით, პირობა... მიხედით თუ არა? პირობა მა.

— მომიტინეთ ცოტა ხანს, წართვა სიტყვა კვალერმა; ხომ იცით, რომ მე სამსახურში უკან ჩამორჩომილი კაცი ვიყავ, ე. ი. როგორ გითხრათ: ჩემს გვარიშვილობას არ შემევენოდა ის ადგილი.

— შეადგილობას არ შეგამჩნევენდები: ფული ბევრი და გული პატროსანი, შენი სიყვარულით ავსებულნი, მაგრამ....

— მათქმევინეთ: მე ამ ქალაქიდან მეორე ქალაქში წავიდ ბედის საქმენელად. მივწყ-მოვწდი საზოგადოებას; გავიცან ერთი მალა გვაროვანი ოჯახი — შედარდელად; უნდა მოგახსენო, სხვა მალა-გვაროვანი ოჯახებთან ნულარ მეტყვი: ვინ გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იყოს; სად გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იჯდეს უფროსად. აქ გამიღმა ბედმა, აქ დაინახე ჩემი წილის შესრულების დღე. აბა, ჰა, მითო მეთქი, უთხარ

რება შეძლებოდა და საბუთიანიც იყო, იმაზედ უარი განაცხადა. ამაზედ კომიტეტის წევრები არ დათანხმდნენ; და ამის გამო თავსმჯდომარემ თავის თანამდებობაზედ უარი განაცხადა. ძალიან გამაკვირვა ქალბ. თავსმჯდომარის ლაპარაკმა: რასაც ამბობდა, ყველაფერს დღ-გულად, ამაყად, წყრომით და ბრძანებით! ძაცს ეგონებოდა, ვისიმე ბატონი იყოს, ან მის საკუთრებაზედ ლაპარაკობდეს.

მადლობა ღმერთსა, თვითონ მალე უარი განაცხადა თავის თანამდებობაზედ, თორემ თქვენი მტერი, თუ ცოტას ხანს კიდევ დარჩენილიყო, კომიტეტის წევრებს კეტით დაეჩერა, ერთი კი დღემდინაც არა დაუკლიარა.

ახია ფოთელებზედ: ეს მამა ცხონებულეები ამისთანა ხასიათისანი არიან, რომ უარესის ღირსნიც არიან! პირველად ამოიჩინეს საუკეთესო და სასარგებლო გამგებელი ბერტელოს მეუღლე. მეორე დღეს ვილაც აქაურმა მეჭორებმა რაღაც უსინიღისო სიტყვები წარმოსთქვეს, რომელიც გაეგონა ბერტელოს მეუღლეს და მეორე დღესვე უარი განაცხადა თანამდებობაზედ. ამის შემდეგ აირია ჩვენის საქალებო სასწავლებლის წყობილება, და ახლა კიდევ ეძებენ სასწავლებლის პატრონს მანდილოსანს! ზამთარი მომავალია და არაფერი ზამთრის სამზადისი სასწავლებლისთვის ნაზრუნვი არა არის.

შრიგო არ იქნება, რომ საზოგადოებამ გამოირცხოს წევრობიდან ის მეჭორე პირები, რომლებსაც ქუჭყიანის ენის მიხედვით ამისთანა დაბრკოლება და ზარალი ეძლევა ჩვენს საქალებო სასწავლებელს, და ერთ-ხმით სთხოვონ ისეც მანდილოსანს ბერტელოსას, რათა მიიღოს ღარიბი საქა-

ჩემს თავს, ეხლა გამართებს ბიჭობა და გამჭირახობა — მეთქი. ლაუწე შედარდელადიანთ ქალებს დევნა. დედამ მითხრა, თუ შენი თავისთვის ბედნიერება გინდაო, ჩემი უფროსი ქალი შეირთეო. მე, რა უნდა მეთქო. მე ქალი კი არ მიწოდოდა, ადგილი მიწოდოდა. უნდა მოგახსენო, რომ ის უფროსი ქალი, ჩემი ცოლი, ცოტა კი არა და ძალიან კკუაზე თხლად გახლამთ, თუმცა ჩემი ცოლი კია, როგორც მოგახსენეთ. რას ვიქმობი, შევირთე გიჟი ქალი, მაგრამ არა მკითხვეთ, მზითვეში რა გამოატანეს სიგიჟესთან: „ნაჩაღნიკობა!“ მაშ! ჯვარის წერის შემდეგ, მეორე დღესვე მე ნაჩაღნიკობა მიშოვეს; სიტყვას „ნაჩაღნიკობა“ ისეთის ეშხით- ისეთის კბილებს კრჭაღით ამბობდა, თითქოს ქვეყანა ამ სიტყვაზე სდგასო.

— მაშ ყველა შენი ჩემთან ლაპარაკი, მსჯელობა, ახალ-ახალი აზრების რახა-რუხი, ათასნაირი პირობეები, სულ ორ პირობა, სულ სიცრუე იყო! წარმოსთქვა ლიზიჩკამ და მეხვით დაუწყო სიტყვებს სროლა. ძავალერის ყურში ბაიბურიც არ იყო. — მაშ ეგრე? მს, დამბადებელი!

ლებო სასწავლებელს პატრონობა რადგანაც ამაზედ უკეთესი და სასარგებლო პირს ვერ იშოვნებან. მაგრამ ვინ არის პატრონი? აქაური საზოგადოება სიტყვით ისეთია, იალბუხსაც რომ მიადგენ, ერთს დღეში გაასწორებენ, და სადაც ადგილია, იქ მისვლითაც არ მივლენ, და თუ მივიდნენ, იალბუხი კი არა ძველს გოდორსაც ვერ გადააბრუნებენ, როგორც ბანკის საქმეში მარტის პირველს მოუვიდათ.

საკვირველია, ყველა უთანხმოება და გაუტანელობა შოთს ემართება; იმისი არ იყოს, წასრულ დღეებში იყო მოლაპარაკება პოლიციის ზალაში შესახებ იარმუკობისა. რადგანაც პირველ მაისობას დიდ-ძალი ხალხი გროვდება შოთში, ურიგო არ იქნება ამ დღეს იარმუკობაც იყოს როგორც სენაკში, ნავომარში და სხვაგანო. მს წინადადება მისცა საზოგადოებას პოლიციისმეტყრმა ბატ. ძავთარამემ. ამაზედ თითქმის ყველანი ალტაცებაში მოვიდნენ, სიხარულით თანხმობა განაცხადეს, მადლობა შესწირეს ბატ. ძავთარამეს ამისთანა სასარგებლო საქმის წინადადებაზედ- და სთხოვეს იშუამდგომლოს, სადაც ალაგია, რომ ნება მოეცესთ, მაგრამ აქაც გაჩნდნენ ჩამოდენიმი პირნი და დაიწყეს ქადაგება, ვითომც ეს საქმე ზარალის მეტს შოთს არას მოუტანს.

აი ამისთანა ქრელი ხალხი სცხოვრობს შოთში! თივანთ თხუთმეტ მანეთიანი ბუტკების გულისათვის ათას და ათი ათას მანეთს ქალაქის სარგებლობის დაკარგვას არ ზოგავენ, რომლის მიხედვით ბუტკებს მაინც არა აკლდებათ-რა.

გინმე ფოთელი.

ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ! შენმა სიყვარულიმა, შენზე ფიქრებმა — აი ჰხედავ, — როგორ დამადნო და შენ კი გამცვალე ვილაც გიჟზე, არა, გიჟზე არა — ადგილზე, სამაახურზე? შუ შენს ვაჟ-კაცობას! შენს ახალ-გახლობას. რაღა პირით მელაპარაკები რაღას მკვებებ მაგ შენს გარყენილებას?! რაღაც ბედით მოვარდნილხარ აქ და სარგებლობ, რომ სიცრუის ბედში გამაბა? მობობას ხელობა დიდი ხანია დაგიტერია და მე ვერ შეგიტყე. მთხოვეთ, ობობავ — ნაჩაღნიკო, შენის უნამუსოს პირით მომეცალო აქედამ; მკლავს შენი სახის ცქერა...

მს უკანასკნელი სიტყვები ისე მალა, ისეთის ადვლებულის ხმით წარმოსთქვა, რომ მთელი ზალა ფეხზე დადგა. ძავალერმა ურცხვად გაიკასკასა, ხელების მტვრევით აიარა და ჩაერია ხალხში.

წავალა.

# განსახლება

თბილისის სასულიერო სემინარიის

იხსნება საკვირაო წეს-კითხვი სასწავლებელი აკოლა. ასწავლიან სემინარიის უფროს კლასის შავრდებმა.

სწავლა მუქთად იქნება, შეადგინდნ მკარე საათის ნახევრამდინ.

შავრდების წლავანობას უურადლებას აჟ მიჰქცევენ. (3-1)

ჩაის მცოდნე, ზირმა და მსურველმა უნდა იუიდოს ჩაი, ზირველი მოკრეფილისა ინვლისის ბალაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. უველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაი ინვლისის მალაზიაში. ამის გარდა მალაზია ამღვეს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100-44)

ლონდონის ბალაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ ზირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინვლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკლავრებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, ვრავატებისა, დანებისა, ვოკებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკოსი, დუხებისა, საზონისა, შიო კებისა, ცხვირ-სასოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრეული კლეშინი ზეთისა) და სხვ. სააკტო მანკინტოშის მოსასურვებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკურის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანს გაარები. (100-33)

ინვლისის ბალაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იქიდება: ზარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ.—დამ; პარნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფაად და სხვ. (100-25)

ნაფიცვი ვეპილი  
ალექსანდრე მიჩინის-ძე  
**ჰუმონა**  
მ. შუთაისი  
მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ვველას სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის ჰაღატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4-3)

# ა. შარბეკოვის ბალაზიაში

გალაგინის ზრახვეტყე. ახლად მიღებულია საუკეთესო სამზღვარ-გაზეთის ჭაბრიკებისაგან უკანასკნელი ფასონის: მზა ზედა ტანთ საცმელები ქალებისა და ყმაწვილებისა საშემოდგომო და საზამთრო მაგალითათ, ქალებისა წამოსასხამი, ვატერპრუფები, ზალტოები, დოლმანები, როტონდოები, ჟაკეტები, ორთავ სქესის ყმაწვილებისათვის პალტოები. ძალეებისა და ყმაწვილებისათვის მაუდის საცმელები, პენიურები და იუბკები აგრეთვე მიღებულია მრავალი საუკეთესო ჩულქები ყოველ გვარისა, ვარშეისა და სამზღვარ გარეთის ფეს-საცმელები ყოველი გვარისა, აგრეთვე გალანტერის საქონლები.

მსურს რო გაეცნო ჩემი მალაზიის საუკეთესო საქონლები და სიაფე, თფილისელ საზოგადოებას, იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოებათა თვის წვევას არ მომიშლის.

შველა ზემოხსენებულ საქონლები ერთობ რიგიან ფასათ ისყიდება.

ა. შარბეკოვი.

# აუქციონი

17 და 24 ოქტომბერს 1881 წ. კავკასიის აქეთა-მხრის ზრიკანში აუქციონით გაისყიდება ოქრო-ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. (3-2)

ნერსისის სოხის სასულიერო სემინარიის პოპილარების. კრებაში ამ მამაკალ ოქტომბრის 7-სა და 14-სა იქნება **ტორბი** (უზერეტორბოთ), იჯარით მისაცემათ სემინარიის მამულისა ქვერ-აღწერილ რიგზედ. ამთვის 7-სა ნერსისის ძველი სემინარიის ქვერ-ეტა-ყის 32 დუქანი და ახალი სემინარიის ქვერ-ეტა-ყის 7 ოთახი ოქტომბრის 17-სა ძველი სემინარიის ზირდა-ზირ ნამყოფი 21 დუქანი, მოჭდეულ სამჭედლოებით.

ტორბი იქნება შემოსესებულს დღეებში 7 საათზედ შეადის შემდეგ, განსაკუთრებით ყოველ მამულისთვის.

ზირობის ქაღალდის წავითხვას შეიძლება ზოპინიტლების განცვლიარიაში, ყოველ დღეს, გარდა კვირის და უქმ დღეებისა, დღის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შეადის. (3-3)

# ანგარიშის ელგოვარეობა

იაგორ კასუძოვის და კამპ. სავაჭრო სახლისა 1 დვინბისთვეს 1881 წ.

ღებები	მან.		კრედიტი	ნან.	
	მან.	კ.		ნან.	კ.
ნადდი კასსაში	707	02	თავნი ფული ამხანაგობისა	83,375	„
1/2 ქაღალდები ამხანაგობის საკუთრება	26,260	68	ანგარიში თავნი ფულისა 1880 წლიდან	73	57
სპეციალ მომდ. ანგარ. კომერც. ბანკში 1/2 ქაღალდებით უზრუნველ უოფილნი	4735	06	— 1880 წლის ბაუტე-მელ დივიდენდისა	198	23
საწვერად შეტანილი თფ. საურთი-ერთო ბანკში	30	„	— საწვერო ფულისა თფ. საურთი - ერთო ბანკისა 1880 წლის	3	37
ვექსილებით გაცემული ფული 2 და 3 თვეების სვლის-მარწით	102,813	30	— საზოგადო საწვ. შე-მოტანილი	15,982	74
ზოტრესტისნი ვექსილები 1/2 ქაღალდების გირაოთ გასესხებული	1938	24	— მიუტემელ 1/2 შარშან-დელ შეხსულ ფულისა	17	85
საქონლის გირაოთ გასესხებული	16,149	14	— სპეც. მომდინარე ანგარიში 1/2 ქაღ. გირაოთ	13,924	„
უკან დასაბრუნებელი ხარჯი	374	95	— ბანკში გადაგირავება 1/2 ქაღალდებისა	13,960	„
1/2 მიტემული 1/2 ქაღალდების მკარედ დაგირავებისთვის	6866	20	— თფ. კომერც. ბანკში ვექსილების დაგირავ.	2,000	„
— ვექსილების დასავიკებლად	1169	73	— ვადებით გაუიღვისა-გან 1/2 ქაღალდებისა 1881 წლის	3,190	„
— სპეციალურ მომდინარე ანგარიში	185	18	— 1/2 სხვა და სხვა ოპერაციებისა	18,461	46
— დროებით შესანასად შეტანილ ფულისა	239	93	— ჯარბმა ვალისთვის დროსე შემოუტანლობისათვის	3,273	70
— მოთხოვნამდინ შეტანილ ფულისა	91	25	— ზოდრადებისა	858	55
— მომდინარე ანგარიში-სა ზირ ანათ და შესანასის	142	97	— გარდამავალი ჯამი	1,067	70
— უბრალო მანუფების იჯარას	504	46	— სასწავლებლისათვის ფონდ.	24	52
— მომრავი ქონება ამხანაგობისა	37	64	სულ	172,301	38
— 1/2 მოგების ბილეთების სტრანისა	1630	72			
— მიმდინარე სპეციალ-ტით	45	80			
	6,778	52			
სულ	172,301	38			

ინვლისის ბალაზიაში  
არწონის განვლერიაში  
(Maison de confiance)  
შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის ვველგან  
— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.  
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.  
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.  
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.  
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.  
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.  
ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან გიქაღალდით. (100-46)

ინკლისის მალაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს ამღვეს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., ტანგზანით 2 მანეთი და 28 კაპ.  
აქვე ისყიდება ქინის ზომიდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტვავილის მოსასზომლად, ტუალეტის საშონი, დუხები და სხვ (100-56)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თფუბი, ჩაინიკები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, ზირის-საზანი, კლიტე-ბი, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, ვოკებისა, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რეკლავები, კარანდაშები, თოფები, რეკლავრები, კრავები, ზღაშ-ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-ონკა, უნაგირები, ლაგები, უთოები, ტასტები, ზირისსოცი, ცხვირის-სასოცი, ჩუქები, ტუალეტის საშონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას დვი-ნო, ზოტრეგენი, სერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები—ინვლისის ბალაზიაში. იქვე ჩაი ვაჭარათავის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირავანობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უზირველი ხარისისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.  
თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრი-კადამ—120 მან. რეკლავრები 4—34 მან. და ბუდლოვისა 11—20 მ. ქაღის უნაგირები 65 მან-დამ; შეჭილდის და-ნები ჩანგლუით 3 მან. 50 კაპ-დამ დუქი, ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.  
ვევლასედ უმრავლესი ამორხვას თოფე-ბისა და რეკლავრებისა თფილისში. (100-17)

# ისყიდება

ბეჟანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანიოთ. მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10-6)